სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/58

ქ. თბილისი

23 ოქტომბერი 2023

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 03 ოქტომბრის №378 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შორის 2023 წლის 18 სექტემბერს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მე-2 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 23 ოქტომბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს მოქალაქეობის მქონე ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, რომელთაც 2023 წლის 01 აგვისტოს მდგომარეობით შეჩერებული აქვთ/ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი, ერიცხებათ ფინანსური დავალიანება და სტატუსის შეჩერებიდან არ არის გასული 5 წელი, ჩამოეწეროს 2023 წლის 01 აგვისტოს მდგომარეობით არსებული ფინანსური დავალიანება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**